2016 წ.

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

2 წლის ანგარიში

2014–2016 წ.

აშენდა ახალი შენობა და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა სასწავლო ცენტრის ინფრასტრუქტურა:

» **2014 წელს, ცენტრი გადავიდა საკუთარ შენობაში,** რომელიც უახლესი ტექნოლოგიებით არის აღჭურვილი და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე სტანდარტებს.

» 2015 წელს, სრულად გაიმართა ყვარლის სასაწვლო ცენტრის **ინფრასტრუქტურა** და წინა წლებთან შედარებით ცენტრის დატვირთვა 51%- ით (3383 სტუმარი) გაიზარდა.

საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი
TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIA

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი



განხორციელდა რებრენდინგი, შეიცვალა ლოგო, შეიქმნა ცენტრის ბრენდის კონცეფცია და კორპორაციული დიზაინი, რომელიც სრულად ასახავს ცენტრის მრავალფეროვან მიზნებსა და საქმიანობას.

SZUTEST

CERTIFICATE

SZUTEST TEKNIK KONTROL VE BELGELENDIRME HIZM. TIC. LTD. STI.

Hereby declares on the basis of the positive results of the certification audit that quality management system implemented by;

TRAINING CENTER OF JUSTICE OF GEORGIA

3ª Sandro Euli Street, Tbilisi 0186, Georgia

Was found to be in compliance with the requirements of

ISO 9001:2008

The present certificate is valid for the following products and processes

Training and Testing Service

EA Code	: 36
Registration No	: 11424801
Issue Date	: 05.09.2014
Expiration Date	: 04.09.2017

GENERAL MANAGER

This version of the certificate has come into force on 06.11.2013.
SZUTEST Teknik Kontrol ve Belgelendirme Hizmetleri Tic. Ltd. Şti.
SZUTEST Plaza, Noto Yolu Cd. Çam Sk. No:7 Ümraniye, İSTANBUL, TÜRKİYE
Tel: +90 216 - 469 46 66 Faks: +90 216 469 46 67 info@szutest.com.tr | www.szutest.com.tr

მომხმარებლის მოთხოვნების მაღალი ხარისხით უზრუნველყოფის მიზნით **დაინერგა ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ISO 9001:2008,** რაც ადასტურებს ორგანიზაციის საქმიანობის შესაბამისობას საერთაშორისო ნორმებთან. 2015 წლამდე, **ცენტრში არ არსებობდა ხარისხის მართვის სტანდარტი.**

2015 წლის დასაწყისში **განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები.** არსებული საჭიროებიდან გამომდინარე, **შეიქმნა 7 ახალი სამსახური:** იურიდიული, სოციალური, ფინანსური და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების ტრენინგების სამსახურები, პროექტების მართვის, ასევე, ტესტის შექმნისა და კოორდინაციის სამსახურები.



2013 წელთან შედარებით (48 თანამშრომელი) **ცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა 87%-ით (90 თანამშრომელი) გაიზარდა.**

ცენტრის საქმიანობა გასცდა
იუსტიციის სამინისტროს ფარგლებს.

დღეს უკვე სასწავლო ცენტრი 150 - ზე მეტ კერძო, საჯარო თუ საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ცენტრმა გამოწვევების შესაბამისად, შემქნა ახალი სერვისები:

- **შეიქმნა 60-ზე მეტი სასწავლო პროგრამა** სამართლის, ფინანსების, ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და სოციალური უნარების თემებზე.

- დაინერგა ახალი, **მრავალფუნქციური ტესტირების პროგრამა,** რომელიც სპეციალურად საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის არის შექმნილი და საშუალებას იძლევა უსაფრთხო ელექტრონული სისტემის მეშვეობით მოხდეს აპლიკანტთა გამარტივებული წესით რეგისტრაცია, ტესტირება, შედეგების მომენტალური დაჯამება და მათი გასაჩივრება.პროგრამა ემსახურება ტესტირების სამსახურის გაძლიერებასა და საგამოცდო პროცესების თანამედროვე სტანდარტებთან დაახლოებას.

- **ამოქმედდა ტესტის შექმნის სამსახური,** რომელიც უზრუნველყოფს ტესტური დავალებების ბანკის შექმნას და ნებისმიერი დაინტერესებული ორგანიზაციის საჭიროების შესაბამისი ტესტის მომზადებას.



სასწავლო ცენტრის სერვისები ხელმისაწვდომი გახდა საქართველოს მასშტაბით:

- დღეს უკვე ცენტრი უზრუნველყოფს **თითქმის ყველა (60) ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსის ადმინისტრირებას.**
- წინა წლებთან შედარებით, რეგიონებში **საკვალიფიკაციო, სასერტიფიკატო და საკონკურსო ტესტირებების ადმინისტრირება გაიზარდა 80%-ით** (12 937 აპლიკანტი).
- ცენტრს შესაძლებლობა აქვს, **ადგილზე, ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას მიაწოდოს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები.**

ტრენინგი



ტესტირება



წინა წლებთან შედარებით ცენტრის სერვისებზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა:

- ტრენინგი - 48%- იანი ზრდა. (4968 მონაწილე)
- ტესტირება - 108 %-იანი ზრდა. (20498 აპლიკანტი) რეკორდული მაჩვენებელი.

ცენტრის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით:

- **გაფორმდა 13 მემორანდუმი სხვადასხვა საგანმანათლებლო თუ საჯარო სტრუქტურასთან,** საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე, მათ შორის, ბრიტანეთის საერთაშორისო ბიზნეს სკოლასთან (BBSI) და თურქეთის იუსტიციის აკადემიასთან.

- ბრიტანეთის საერთაშორისო ბიზნეს სკოლაში (BBSI) მენეჯმენტისა და უცხო ენის მიმართულებით **გადამზადდა ცენტრის 6 თანამშრომელი**.

- ბრიტანეთის საბჭოსთან (BC) თანამშრომლობით ცენტრი კოორდინაციას უწევს იუსტიციის სამინისტროს სისტემის თანამშრომელთათვის ინგლისური ენის სწავლებას, რაც **წინა წლებთან შედარებით 383 %-ით გაიზარდა (411 მონაწილე).**

ცენტრში განხორციელებული ცვლილებები აისახა ფინანსურ შედეგებზეც. **გაიზარდა ცენტრის ფინანსური მდგრადობა.** 2013 წელს, შემოსავალი შეადგენდა 380 000 ლარს, **რაც 2015 წელს 190%-ით გაიზარდა და შეადგინა 2 მილიონამდე ლარი.** არსებული ფინანსური რესურსით ცენტრს სხვადასხვა სახის, მასშტაბური და ინოვაციური სასწავლო პროექტების განხორცილების შესაძლებლობა მიეცა.

2015 წელს განხორციელდა საერთაშორისო დონის ღონისძიებები:

- დიდი ბრიტანეთის იმპერიის ორდენის მფლობელმა, სამეფო მრჩეველმა, **ბრიტანეთის ექსპრემიერ-მინისტრის, ტონი ბლერის მეუღლემ, ჩერი ბლერმა ქართველი საჯარო მოხელეებისთვის ჩაატარა ტრენინგი, რომელიც საქართველოში საინვესტიციო სფეროს განვითარებასა და ხელშეწყობას ისახავდა მიზნად.**

- ევროსაბჭოსთან თანამშრომლობით, ჩატარდა **რეგიონული კონფერენცია აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში ქალთა მიერ მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის გაძლიერების თაობაზე.** კონფერენციას ესწრებოდა ხუთი სხვადასხვა ქვეყნის 55 წარმომადგენელი.

სასწავლო ცენტრი ხელს უწყობს სტუდენტებისა და სკოლის მოსწავლეების სამართლებრივი მართლშეგნების ამაღლებას და საჯარო სამსახურის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ცენტრმა საკუთარი რესურსებით და სხავადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომ-ლობით **განახორციელა საზაფხულო სკოლები და ახალგაზრდული პროექტები, რომლებშიც 2016 წელს, უკვე 600-მდე ადამიანი ჩაერთო.**

მასშტაბური პროექტები

2015 წლიდან, ცენტრმა საკუთარი შემოსავლებით დაიწყო მასშტაბური პროექტების განხორციელება, რომლებიც მომავალში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანენ საჯარო სამსახურის განვითარებაში, თანამედროვე საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებასა და სამოქალქო საზოგადოების გაძლიერებაში.

» **უნიკალური პროექტი „50 საჯარო მოხელე“,** რომლის მიზანი იყო პროგრესული საჯარო სამსახურის ჩამოყალიბებისთვის შესაბამისი კანდიდატების მომზადება. მათი ახალ გამოწვევებთან გასამკლავებლად საჭირო ცოდნითა და უნარებით აღჭურვა. **პროექტის მონაწილეთა უმრავლესობა უკვე დასაქმდა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში.**

» **რეგიონული პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება“,** რომლის მიზანია სწავლებისა და განვითარების პროგრამების ხელმისაწვდომობის გზით სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, სოფლად მცხოვრები მოსახლეობის სამართლებრივი ცნობიერების ამაღლება, ასევე, პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. 3 კვირაში, საქართველოს 33 სოფელში უკვე 2000-მდე ადამიანი გადამზადდა.

» **პროექტი „საჯარო მოხელეთა ბიბლიოთეკა“,** რომლის მიზანია სპეციალური ტიპის, საჯარო მოხელეთა ბიბლიოთეკის მოწყობითა და აღჭურვით, ასევე, თანამედროვე ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნით, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარების ხელშეწყობა.

ბიბლიოთეკაში არსებული ლიტერატურა ხელმისაწვდომი იქნება სახელმწიფო უწყებებისათვის, სამინისტროებისათვის და მათი ქვედანაყოფებისათვის.

საქართველოს
იუსტიციის
სამინისტრო

საქართველოს იუსტიციის
სასწავლო ცენტრი

2015 წლიდან, სასწავლო ცენტრი ერთადერთი საჯარო უწყებაა, რომელიც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს სთავაზობს კომპლექსურ მომსახურებას ქართული ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად.

» **ცენტრში შექმნილია ქართული ენის ტრენერთა ჯგუფი,** რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მასშტაბით ქართული ენის, როგორც უცხო ენის სწავლებას სახელმწიფო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის.

» **ცენტრმა პირველად საქართველოში შექმნა და დანერგა ქართული ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელი ტესტი,** რომელიც ეფუძნება ენობრივი კომპეტენციების შეფასების საერთო ევროპულ ჩარჩოს (CEFR) და ზომავს ენის ცოდნის შემდეგ დონეებს: A1, A2, B1, B2, C1



2015 წლიდან, ცენტრი გახდა ღია და ხელმისაწვდომი სივრცე ნებისმიერი მოქალაქისთვის

- 2015 წელს, ცენტრმა პირველმა უმასპინძლა მსოფლიოში ყველზე პრესტიჟულ კრეატივის კონკურსს - **„კანის ლომი“**.
- **600-მდე მოქალაქემ გაიარა უფასო იურიდიული ტრენინგები,** რაც ემსახურებოდა სამართლებრივი ცნობიერების ამაღლებას.
- **ცენტრმა უმასპინძლა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ფოტო-გამოფენას.**
- **ცენტრი უკვე ორი წელია მსოფლიო რბენის მასპინძელია ყვარლის სასწავლო ცენტრში.**
- 2016 წელს, საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრმა, პარტნიორ ორგანიზაციებთან **თანამშრომლობის გზით, პირველად აღნიშნა წიგნის საერთაშორისო დღე.**
- 2016 წელს, იუსტიციის სასწავლო ცენტრის ინიციატივით, **პირველად აღინიშნება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის საერთაშორისო დღე,** საქართველოს 34 საზოგადოებრივ ცენტრში. ერთ დღეში, საშუალოდ 400-მდე დაინტერესებულ მოქალაქეს აუმაღლდა ცნობიერება ტრეფიკინგის პრევენციასთან დაკავშირებით.
- ცენტრმა აღნიშნა 14 აპრილი, დედაენის დღე. ამ თარიღისთვის ქართველი მხატვრების მიერ, ძველი ქართული ანბანით მოიხატა ცენტრის ეზოს ტერიტორია.

2015 წელს, სასწავლო ცენტრმა პირველმა შექმნა პლატფორმა, რომელიც ახალგაზრდებს აძლევს შესაძლებლობას გახდნენ სასწავლო ცეტნრის ტრენერები

- შეირჩნენ თსუ-ს იურიდიული ფაკულტეტის მაგისტრანტები, რომლებმაც გაიარეს სამთვიანი სპეციალური მომზადების პროგრამა და განივითარეს ტრენერული უნარები.
- სასწავლო ცენტრის მიერ უკვე გადამზადებულია 22 ტრენერი, რომლებიც სრულფასოვნად არიან ჩართული ცენტრის პროექტებში.





სასწავლო პროგრამების განხორციელების ფარგლებში სასწავლო ცენტრმა, გამოსცა:

- სტატიათა კრებული ,,50 საჯარო მოხელე“.
- სასწავლო სახელმძღვანელო ,,ზოგადი მენეჯმენტი“.
- დაზარალებული და მოწმე ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვის სახელმძღვანელო ტრენერებისა და პროფესიონალებისთვის - ,,მომიყევი რა მოხდა“.

ადგილი მეტი შესაძლებლობისთვის

tcj.gov.ge